



ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია“
წერილის რეგისტრაციის № 289
თარიღი: 16 11 2017 წ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ეროვნული სატყეო სააგენტო



KA010185614382917

ეროვნული სატყეო სააგენტო გულუას ქ.№6, 0114, ქ. თბილისი, საქართველო. ტელ.:275-39-59

№ 03/27035

14 / ნოემბერი / 2017 წ.

ააიპ საქართველოს რეფორმების ასოციაციას
ქალბატონ ვერიკო სუხიაშვილს

ქალბატონო ვერიკო,

თქვენი 07.11.2017 წლის N380 წერილის პასუხად წარმოგიდგენთ ინფორმაციას ჩვენი კომპეტენციის მიხედვით:

- რა ფართობი უჭირავს ტყეებს საქართველოში და მისი ტერიტორიის რამდენ პროცენტს შეადგენს?

1. „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს № 299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით 2008490 ჰა, (საქართველოს ტერიტორიის 29%) ფართობი მდებარეობს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტყის ფონდში;

- რა სიხშირით უნდა განხორციელდეს ტყეში სანიტარული ხის ჭრა?

2. სანუტარული ჭრა ტარდება დაავადებული ტყის კორომებში და წარმოადგენს მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებას, რომლის განხორციელების მასშტაბი დამოკიდებულია მავნებელ-დაავადების გავრცელების სიხშირესა და კორომის სანიტარულ მდგომარეობაზე;

- ტყეს აქვს თუ არა თვითაღდგენის უნარი?

3. ტყეს გააჩნია თვითაღდგენის უნარი, მაგრამ რიგ შემთხვევაში ტყეში არსებობს თვითაღდგენის ხელშემშლელი ფაქტორები. მაგალითად: ხშირი ქვეტყე, მათ შორის მარადმწვანე ქვეტყე (შქერი, წყავი), რომელიც ხელს უშლის ტყეში ჩამოცვენილი თესლის ნიადაგში გაღვივებას. აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად ტყეში ტარდება ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის ღონისძიებები.

- ტყეში ხეების დაურეგულირებელმა ჭრამ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ეკოსისტემაზე? ბორჯომის ხეობის ტყეებში ხეების დაურეგულირებელმა ჭრამ რა შედეგები შეიძლება გამოიწვიოს? ბორჯომის ხეობის ტყეებში ხეების დაურეგულირებელმა ჭრამ შეიძლება თუ არა რაიმე საფრთხე შეუქმნას ბორჯომის მინერალური წყლის არსებობას? შეიძლება თუ არა გავლენა მოახდინოს მინერალური წყლის ხარისხზე? ტყის საფარი ზოგადად რა გავლენას ახდენს წყლის რესურსებზე?

4. ტყეების ძირითად ნაწილს გააჩნია ნიადაგდაცვითი და წყალმარეგულირებელი ფუნქცია.

ამ და სხვა საკითხების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შესაბამისი სამეცნიერო დაწესებულებებიდან.

პატივისცემით,

ა. გვამაყვი

ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი

თორნიკე გვაზავა